

17 190

2 4

ტრაკტატი

ანთჳ პირობები მის, თუჳ საქართველოჳ რა დაპირე-
ბითა შეუერთდა რუსეთის იმპერიას

პ. იოსელიანის მიერ დაწერილი

„მეფე ვიჳრგის ცხოვრებიდაჳ“

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისგან

თბილისი

სტამბა ტ. როტინიანცისა, გოლოვინ. პრ. 39

1817

ტრაკტატი

ანუ პირობები მის, თუ საქართველო რა დაპირე-
ბით შეურთადა რუსეთის იმპერიას

პ. იოსელიანის მიერ დაწერილი.

„ქვეყნის გიორგის ცხოვრებით“

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისგან

თბილისი

ს რ ა კ ტ ა ს ი

ანუ ჰირობები საქართველოზე შეერთების რუსეთის
იმპერიასთან.

ძმათაგან და გარეთა მტერთაგან შეწუხებული მეფე არაა
ჭგდავდა ქვეყანასა მტკიცედ დაშინავებულად. ამისთვის მოინ-
ლომა და თუმცა დიდის ღელვითა, გარნა გაბედა და მისწერა
დესპანთა თვისთა, რუსეთისაგან განმზადებულთა იშემდგომ წე-
რილითი დარიგება და ჰაზრი თვისი უკანასკნელი და გადაწყ-
ვეტილებითი:

„წელსა ჩლუთ, სექტემბრის 8 ჩვენ მიერ მიცემულნი მა-
თისა იმპერატორების დიდებულების წინაშე წარსაყენებელნი
ჰაზრნი მოხსენებანი, რომელიცა ჩვენგან წარვლინებულთა ჩვენს
ერთგულთა ყმათა უფალთა დესპანთა მოგეცათ:

„უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელოი ჩემი
უზაკველითა და ქრისტიანებითა კეშმარიტებითა მსხვერპლები-
თა და დაუდევით არა თუ მფარელობასა კვეშე უდიდებულეს-
სა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანე-
ბეთ სრულს ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერიდგან
დაიდვას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისა და
წესითა მით, ვითარცა სხენი იგი რუსეთსა შინა პყრობილი
პროვინციანი ჰსარგებლობინ.

ინეთ იმპერატორსა დიდსა რუსეთისას, რათა ემსა მისგან სა-
ართველოსა სრულსა ძალსა და ნებასა შინა თვისსა მიღებო-
სა განამხნოს პუნქტრა ამას შინა თხოვილი ჩემის ყოვლად
მოწყალესითა აღთქმითა წერილითა ვითარმედ სახლსა შინა
უმსა არა აღაყენოს მეფენი, გარნა ოდენ ამეფოს მემკვიდრო-
ნი მემკვიდრე ვითარცა წინაპარნი ჩემნი.

ისეთივე ითხოვეთ ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისაგან
ოვლად უმდაბლესად თქვენ მიერ მიერთმეულითა წერილითა
აელისა რუსეთისა იმპერიასა შინა საშესაბამო აგარაკნი ჩემ-
ვის და ძეთა ჩემთათვის საბოლოოდ და სამკვიდროდ, რომ-
ნისაცა ბოძება იქმნების ჩემთვის უმწვერვალესის შერკულო-
ს ნიშნად.

ეგრეთვე ითხოვეთ ჯამაგირისაცა ჩვენთვის, საშესაბამოსა
ათა, უკეთუ ჰაზრი ესე არ მიღებულ იქმნას, მაშინ ყოველი
მოკიდებულება ჩვენი იქმნება დახსნილი თვინიერ ურთიერ-
სადმი მეზობლურისა ქცივისა. მეფე სრულიად საქართველო-
გიორგი. 1)

წერილისა ამის ძალით იმპერატორმან პაეღემ დაუნიშნაო-
ცთა და მეფის-ძეთა სოფელნი და ყმანი და მამულნი რუ-
ისა გუბერნიათა შინა. თვით დესპანსა გარსევან ჭავჭავაძე-
ა უბოძა მამულები. გარნა აქტი ესრეთი ხელმოწერილი
ით იმპერატორისაგან არ აღესრულა და არც ბოძებამან ამან
ლო ძალი აღსრულებისა, გარდაცვალებისა გამო თვით იმ-
ატორისა. ესე მიამბეს შეილმან გარსევანისა ლენერალ ლე-
ნანტმან აღექსანდრე ჭავჭავაძემან და მეფის ძეთა.

დიდად ჰსწყალობდა ქართველთა იმპერატორი პაეღე, აქა
ლისის არხიეში მინახავს მისგან ენორინგთან მთავარმართე-

1) თვით ნამდვილზედ არის მოწერილი მეფისავე ხელთა:
ადს გარსევან ჭავჭავაძეს, დესპანნი ამ წერილისა აღ-
ვლადნი იყვნენ თავადნი გარსევან ჭავჭავაძე, ვლასარ ფაღ-

ბელთან მოწერილი წერილი ნამდვილი, რომელითაცა უბრძანებს წარუვლინოს სია დიდთა ქართველთა გვამთა და ღირსთა რათა უბოძოს მათ ღრადობა, ბარონობა და რომელთამე ორდენიცა ანდრიისა.

დესპანთა ამათ მეცადინებითა შეჰსდგა და დამტკიცდა ტრაქტატი მიღებული იმპერატორისა პავლესაგან.

აჲ თვით აზრნი და მუხლნი ტრაქტატისა ამის, რომელიცა იპოება დაბეჭდილსა ფრანციზულად წიგნსა შინა როტიერსა.

1799 წელსა, **23** ნოემბერსა, შედგა ახალი ტრაქტატი შორის პავლე იმპერატორისა და გიორგი მეფისა შემდეგი:

1.

მისი დიდებულება იმპერატორი ყოვლისა რუსეთისა მიიღებს ტიტულსა „მეფე საქართველოისა და შემდეგნი მისნი და მემკვიდრენი“.

2.

მე მეფისა გიორგისა დაეით ტიტულსა „განმგე საქართველოისა“ და გარდაეღოს ესე შთამამაელობითა პირმშოდამ პარმშოდის.

3.

საქართველოისა ერი და მუნ მსახლობელნი **12** წლისა განგრძობასა, არ გაიღებენ არა რა ხარჯსა, რათა დაეწყენენ თვისა მდგომარეობასა შემდეგ ესოდენტა ბრძოლათა. განმგე საქართველოისა მიიღებს რუსეთიდან **12** წელსა მისთვის და სახლისა წესთათვის **20,000** თუმანს (**200,000**).

ელაზარ მე იესესი იყო სტატსკი სოკეტნიკი, მოკვდა **65** წელსა უშვილოდ თბილისს **1821** წელსა და დასაფლავდა ქაშვეთის ეკლესიასა, ღენერალი ერმალოვი იტყოდა მისთვის *Его портретъ на-
да посадить въ золотую раму. Онъ былъ человекъ рѣдкихъ дос-
тоинствъ.*

4.

მადანი ოქროსი და ვერცხლისა აბტალას და მისხანს (მიშხანს), შვეა რუსთა განმგებაში და იმითი აიესება ზემო თქმული ჯამი ფულისა.

5.

6,000 რუსისა ქვევითი ჯარი სრულის კომპლექტითა იდგება საქართველოში, ქართველნი გამოვლენ ცხენოსნად ამა ქვევითისა ჯარისათვის.

6.

ქართველნი შააგროვებენ ჯარსა ესოდენტა რაოდენიც საჭირო იქმნების დასაცველად სამზღვრებისა.

7.

რუსნი წარგზავნიან ინჟინერთა თვისთა აღსაშენებელად და განსაახლებლად ციხეთა მათ აღვილთა ზედა, სადაცა დაინახება საჭიროდ.

8.

ფულსა, მოჭრილსა თბილისში ექმნება ერთსა მხარეს ღერობი რუსეთისა და მეორეს საქართველოსა.

9.

საზრდო რუსეთისა ჯარისათვის მიიყიდება იმავე ფასითა, რომელიცა იქმნება დანიშნული აღვილობრიეთა მცხოვრებთათვის.

10.

როდესაც მოხდება აღწერა ხალხისა, უნდა იქმნას კომლექ-

2) წიგნი დიხადებისა, პირველი ნუსთა თავი 21. მეორე შეფეთს თავი 24. ქართველთა მეფენი მოშიშნი ღვთისა ბრძანებისა, კრილებოდნენ სულოებით მცხოვრებთა აღწერისა.

ულად და არა თვითო სულად²⁾). რუსეთისა შხრით, როსტო-ფჩინი ღრაფი.

საქართველოსა შხრით ავალოვი, თალაჯანდოვი.

ტრაქტატსა ამას შეუდგენენ განმარტებებები ერცლად, რომელთაცა ეწოდება დიპლომატიისა ევროპიისა ენითა ნოტანი და დაიწერა ესენი თვით დესპანთაგან, შემდგომად გარდაცვალებისა შეფისა გიორგისა. აჰა თვით ნოტანი ესე ნამდვილნი:

1.

პყრობილებისამებრ ჰაზრისა პირველისა მის პუნქტისა, რომელიცა მოცემულ იქმნა ჩვენგან ვიდრე სიკედილამდე მისისა სიმაღლისა მეფისა საქართველოსა ხელმწიფისა ჩვენისა სახელითავე მისითა მალლისა მინისტრისადმი, რომელიცა ბრძანებისამებრ მისისა¹⁾ იმპერატორობისა დიდებულებისაგან წარგზავნილ იქმნა საქართველოსა შინა წერილებითა. ამისთვის გვაქვს ჩვენ პატივად ქვეშევრდომობით მოხსენება ამისი, რომელ დიდ შემძლებელნი საქართველოიქანი სამღვდელონი და სეროი ერნი, ყოველივე მოსწრაფე არიან და სურსთ ყოფად ერთა ამითა მოქმედებითა სამარადისოსა შინა მონებასა მალალ ვანდიდელულისა იმპერიისა რუსეთისა, და შეკრულჰყოფენ თავსა თვისსა ამით, რემელ წმინდათა აღასრლონ ყოველივე იგი, რაივესაცა აღასრულებენ მონანი მისნი, და არა უარჰჰყონ არა რომელიმე სჯული, და ბრძანება რაოდენცა სამეფოსა მისგან იქმნების შესაძლო, და მცნობელცა იყენენ ყოვლისა რუსეთისა იმპერატორისა თვისად შთამომავლობითა ხელმწიფედ, და თვით მპყრობელად; და ესრეთ ვინაიდგან ზემო დანიშნულნი ნოტანი იგი, და სხვანიცა პუნქტნი ყოველნი მისის იმპერატორობისა დადებულებისაგან პირველვე მალალ-მნებებელობით განხილულ იქმნა, და სამფო იგი საუკუნო ყამობით მონად ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტისად მიღეიულ-იქმნა, ამისთვის ამის შედგომილებისამებრ ყოვლად უმონებრივერად

1) აჰა თვით ქვეშევრდომნი დაურთავს ლექსი; ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი ს ა .

რად ვითხოვთ მისის დიდებულებისა ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა ჩვენისაგან, რათა დამტკიცებულ-ჰყოს მიღება სამეფოსა მის დღესასწაულობითითა დამტკიცებითა ორითავე მხრით საიმპერატოროსა აქტსა შინა, რომელსაცა შინა ჟამსა იქმნენ ოგინი იმედოვანად ამისა, რომელ ვითარცა თვით ვგრეთვე შემდგომნი ამისნი შემკვიდრენი იპყრობენ მათ მარადის მამობრივის კეთილმხედველობსა შინა. და საკუთრად იქმნებიანცა მღვწელ კეთილ-ღღობათათვის მათ ერთსა, რომელთაცა ნებით თვისით მისცეს თავი თვისი საუკუნოსა მონებასა, და ესრეთვე ბრენიქოსთ მათ ყოველივე წესი, სარგებლობა და ჩინებულება ესე ვითარი, რომელითაცა ძველნი ყმანი მისის იმპერატორებისა დიდებულებისანი სარგებლობენ, და დაუცველ იქმნას, ვითარცა სამეფო, ვგრეთვე სამზღვარნი მისნი ყოველთა მეზობელთა მათ მტერთ თავ-დასხმისაგან, და ვნებისა, და ყოველთა მათთა წინააღმდეგობათაგან და განუწესებს ყოველსა მას მსახურებასა ესე გვარსა, რომელსაცა შემძლებელიქმნენ ახლისა-მებრ მონებისა თვისისა ტვირთვად, დაცვად და აღსრულებად.

2.

ჰუნკტსა ამას შინა კვალადცა აწ დამტკიცებულ ვჰყოფთ და ყოვლითურთ განერცელებით მივიღებთ ამას, რომელ რომელიცა კეთილ-ნებებულ იქმნა მისის იმპერატორებითის დიდებულებისაგან, და დანიშნულ მმართველად საქართველოსა სამეფოსად ერთად რომელიმე მეფეს-ძეთაგანი, იგი იწოდებოდეს იმპერატორისა მოადგილედ ¹⁾, და იხსენიებოდეს მეფეთ სა-

1) თანასმად ტრაქტატის, და წერილისცა მეფისა გიორგისა, ღვთისმშობლის მიწერისა: რათა სახელსა შინა ჩმსა არა აღადგინოს მეფობა ე. ი. რათა არა გაუქმდეს მეფობა ანუ მოადგილობა ხელმწიფე იმპერატორისა მეფეთ გვარშია: ესე უნებად ამას წესითა ვითარცა ძველადცა იწოდებოდა საქართველო ვადისტანად სპარსთა ყაენებისა და თვით მეფესა საქართველოსა აღადგინენ ვანნი ვად - გურჯისტანსა.

ქართველთადაც, და შეიქცეს მას თანაშემწედ მარადის მუნ მყოფად ერთი, რომელიმე დიდის რუსეთის დიდ-შემძლებელთაგანნი, რათა მან მმართველობასა შინა მოსსა განუმარტოს მას მისდაში მიცემული იმპერატორებითნი ჰსჯულნი ბრძანებანი, და სხვანიცა ესე გვარნი, და რათა თვინიერ თანახმობისა მისისა, მან იმპერატორის ბოადგილემან, და მუნ მეფედ წოცებულმან არა რომელითამე სახითა თვით თავით თვისით არა კადნიერ იქმნეს განწესებად რომელისამე ჰსჯულისა, ბრძანებისა და რიგთა. და რათა არა მოაწეროს ხელი მან მხოლოდ თვინიერ ხელმოწერისა მისდაში განწესებულისა მის თანაშემწისა, ამისთვის ჯერ-არს რათა თვითთავულთა მათ ბრძანებათა ანუ თუ განწესებასა ზედა სჯულიერისა ძალისა მექანთასა პირველად მოაწეროს ხელი დიდის რუსეთის დიდ-შემძლებელმან. მან, რომელმანვე დაადგოს. ზემორე ადგილი ხელმოწერისათვის მეფისა მის, და ამას მოხსენებასა ვიკადნიერებთ ყოველად უმონებრივეთითა სახითა.—ამისთვის, რომელ პირველსა ამას შეხლომილებისა შინა მიუცილებელად საჭირო არს, რათა ამით განმზიარულეზულ, და განმზობილ-იქმნენ ერნი იგი, ვიდრე პირველ განჩვევამდე. და ამას მეფესა აქენდეს მხოლოდ სახელი მეფობისა, და სხვებრ ყოველსა ჩვენ, ვითარცა სარწმუნონი მონანი მიეანდობთ უდიდებულესობისა კეთილ-მონებებელობისა, და ვითხოვთ, რათა მოგვეტეოს უკეთუ ჰყავთ მეტნი და უადვილონი წინადადებანი ვითარცა ახლად იმპერატორსა სრულიად რუსეთისეთისა ტახტისა ქვეშევრდომილებისა ჩვენისათვის კადნიერ ქმნილთა.

ესე კვალადუხ განხილუებასა შინა საჭიროდ იჩვენების, რათა სხვანიცა მგნებურნი თავადნი და აზნაურნი მნებებელობითა ყოველად უდიდებულესისათა განწესებულ იქმნეს სხვადასხვათა სასამართლოთა შინა ადგილთა და მათ შორის იგინი იყვნენ პირველნი, და მეორენი შემდგომნი მათნი რუსეთის მოხელეთაგანი თანამდებობითითი ამით შეკრულობითა, და ყოველსავე მას რაოდენ გზით სათანადო იქმნების მათ სასამართ-

ლოთა ადგილთაგინ, მოხსენებად არა ჯერ-არს, რათა მხოლოდ ერთისა იმპერატორისა ძოადგილესა მას, და მეფესა მოახსენებდენ, არამედ ორთავე ზემოთქმულთა მათ გემათა, რომელთადმიცა ჯერ-არსვე რათა ყოველსავე მოახსენებდენ უმცირენი ადგილნი უპირველესთა, და ყოველნი თანამედ არიან მოხსენებად სრულისადმი შეკრულებისა. ხოლო სიმცირისათვის ადგილთა საქართველოსა დავსდებთ ესრეთ, რომელ საკმაო იქმნების ხუთნი სასამართლონი ადგილნი, რომელთაგანიცა პირველი იწოდებოდის ესრეთ ვითარცა კეთილ მნებელ იქმნების სოვეტად, ანუ დეპარტამენტად სენათისა, სადაც ჯერ-არს, რათა იმყოფებოდეს ზემოხსენებული იგი ძოადგილე, ანუ მეფე, და შემდგომად მიცემული მისდა თანაშემწე დიდის რუსეთისა დიდ-შემძლებელთაგანი, და სამნი მუნებურთა თეადთა და აზნაურთაგანი. მუნვე სათანადო არს რათა იმყოფებოდეს უპირველესი მეფე რუსეთისა მუნ მყოფთაგანისა მხედრობისა, რომელიცა შეკრულ არს უფრორე მათა კერძოთა ლეწისადმი და სხვანიცა მოხელენი, ვითარცა ქართველნი, ეგრეთვე დიდისა რუსეთისაგანი წერილთ მცოდნენი განწესებულ იქმნენ ეგოდენი რაოდენიცა განხილვისამებრ საჭირო იქმნების.

მეორე ადგილი, რომელიც სათანადო არს, რათა იყოს ბრძანებასა ქვეშე პირველისასა, ჯერ-არს, რათა იწოდებოდეს სამეფოსა მართველობად, რომელისაგანცა სხვანი იგი სამთა მათ პროვინციათა შინა მყოფნი განიყოფებიან თვითოეულად, და მათ ყოველდავე ეწოდებოდეს უვიეზდნი.—ანუ თუ ვითარცა კეთილმნებელ იქმნეს ვინაიდგან სიმცირისათვის სამპრობელოსა სამეფოსა მას საქართველოსა, ესენი ყოველითურთ საკმაო იქმნებიან, ამაღ რომელ უკეთუ რომლისადმიცა მაცხოვრებისა გარეგან სატახტოსა მის ქალაქისა შოუნდეს დამპირნეობა მიუცილებელად, და წარმოვიდეს რომელთამე საჩივრითა სატახტოსა მას ქალაქსა შინა თფილისსა, ამისთვის არა-არს ადგილი ესე ვითარი რომელიცა განშორებით მდებარე იყოს უფრო ოთხისა დღისა სავალისა.

3.

ქალაქსა შინა თფილისს ჯერ-არს, რათა განწესდეს წესი პოლიციისა, განიწესოს ერთი მუნებურთა ჩინებულთაგანი ობერპოლიცმაისტრად, და მას მიეცეს თანაშემწედ ერთი დიდის რუსეთისა ხარისხისა მქონებელი ვინმე, ამაღ რომელ მუნებურთა მათ ერთათვის დიდად საჭირო არს ესე, რათა მით ლარიბნი მუნ მოსახლენი შემძლებელ იყვნენ ქალაქსა მას შინა განსვენებით ცხოვრებად, და რათა გლეხთა მათ მიაქუნდესთ სახმარნი ნიეთნი ქალაქათათვის თეინიერ ყოვლობსა სხვათაგან შევიწროვებისა, და რათავე იმოქმედონ თეითოეულმან თავისუფლებით ხელოვნება თვისი, და არა ესრეთ ვითარცა არს აზიის ჩვეულება, რომელ რომელიცა არს ძლიერ, მას აქვს საფაქროსა მის შინა ყოველივე მძლავრება, და მოსახლეეთაღმი ჰყოფს შევიწროებასა.

თვით მასვე ქალაქსა შინა თფილისსა სათანადო არს, რათა განწესდეს კვალადცა ერთი სასამართლო და იწოდებოდეს სლაეფენად, ხადაც ჯერ არს რათა იყოს პირველად მსაჯულად ერთი ქართველთა აზნაურთაგანი, და მეორე მუნებურთა ვაქართაგანი, და მესამე ასნაფთაგანი ვინმე, რათა მათ, ოდესაც შეხედეთ საქმე სიტყვით საჩივარი მაშინ განარჩიონ, განსამართლონ, და გარდასწყვიტონ, თვით მასვე დღესა, რომელსაცა შინა მოჩივარი მივალს საჩივრითა თვისითა და უკეთუ არ ექმნებას მათ ძალი, რათა განისამართლონ, და სიყვარულითა შიარიგონ, მაშინ წარიგზავნონ ორივე იგი სამეფოსა მმართველობასა, ანუ თუ პოლიციასა შინა განხილვისა მებრ საქმეთასა.

4.

მქონებელთა საქართველოსა შინა ეაქრობასა მეზობელთა მათ ერთადმი განეწესოს სახელმწიფოსა შემოსავალთა სარგებლობისათვის ბაჟნი, რომელთაცა შანა პირველ დელეგატორად ჯერ-არს რათა იყოს შთამომავლობით საქართველოსა თავადთაგანი, ორნი შემდგომნა მისნი და იყვნენ ერთი მუნებურთა აზნაურთაგანი, და ერთი დიდის რუსეთისაგანი, და ესე საბაჟო

იყოს თბილისსა შინა და მათთაგან სამზღვართა ზედა მთის ერ-
თა სპარსთა: და თურქთასა. დაინიშნოდეს სამყოფად თვითო-
ეული ქართველთა მოხელეთაგანი, და თვითოეული რუსთაგა-
ნი, და თუ რომელთა სამზღვართა ზედა ჯერ-არს დადგენა მ-
თი და აგრეთვე იმერეთის მხრით ვიდრემდისცა არ იქმნების
უკანასკნელისა დესპანისა წარგზავნა პორტისადმი, და სახელო-
ბით განწესება ფორპოსტთა მანდადის ჩვენ აწ თქმად არა ძალ-
გეიძს მათ განწესებათათვის. და ესრეთ ოდესცა მივიწვიეთ ჩვენ
მუნ სათანადო არს რათა ესრეთ გზის დამტკიცებით იქმნეს
საუკუნოდ თანხმობით განწესება აღგალთა მათ სადაცა ჯერ-
არს დაყენება რათა არა ელონ მუნ ეაჭართა საქონლითა თვი-
სითა, და სადაცა ჯერ-არს რათა მუნ აქენდეს თავისუფლებითა
სელა, რომელ ამით სახით მიეცნენ ერთ-გზის სამზღვართა ბა-
ჭი, და მიიღონ ბილეთი, და მიიჭანონ იგი თბილისსა, ანუ თუ
რომელსამე უფეზდის სასამართლოსა შინა, რომელ მეორეთა
აღარ გარდაიხადონ ბაჭი იგი. ხოლო უკეთუ როგორმე მოუ-
ლოდნელად, და უმეცრებით გამოატარებეს, რომელსამე საქო-
ნელსა მათ ადგილთა ზედა, და სამზღვართა ზედა, სადაცა და-
ყენებულ იქმნების სლვა ეაჭართა, მაშინ ვიდრემდისცა დაეჩე-
ოდნენ, თუ რომელთა ადგილთა ჯერ-არს სელა საქონლითა
ამის პირველისა შენდომისა-მებრ, არა მიადგეს მათ არა რომე-
ლიმე დასჯა, და გამოერთვას ბაჭი იგი თბილისს შინა, ხოლო
ვინაიდგან სამეფო საქართველოსი აწ შეგერთებულ იქმნა იმპე-
რიისათანა ყოვლისა რუსეთისა და მუნებრიენი მცხოვრებნი იქ-
მნენ ყმათა ყოველად უაღუსტესისა მონარჩისად, მაშინ სადამე
ამის შედგომისამებრ უბრძანოს ვისდამიცა ჯერ-არს რათა მომ-
ტანელთა საქონლისათა მოზღოკსა შინა ქართველთა და სხვა-
თაცა ეაჭართა საქართველოზე მოსულთა, და მუნ საქართვე-
ლოსა შინა გადამხდელთა განწესებულისა ბაჭისათა, მეორედ
მოზღოკსა შინა არლა გამოერთვას და ეგრეთვე მოზღოკით სა-
ქართველოსა შინა მისრულთა, ვინადგან თანამდებ არიან განს-
რვილნი თბილისით; და ეგრეთვე მრავალნი ეაჭარნი მისის დი-

ებულებისა, და აწ ჩვენის ყოვლად მოწყალის ხელმწიფისა
ონანი რუსნი, ქართველნი, სომეხნი და სხვანი, რომელნიცა
ამოვლიან და ყიზლარსა, მოზდოკსა და სხვათაცა აღვილთა, და
დაიწვეიან რა ორთა შორის, მაშინ არა თუ მხოლოდ აძლე-
ნ მათ განწესებულთა მათთა მისაცემელთა საქონელთა ზედა.
ამედ ესეცა ფრიად ხშირად იქმნების, რომელ ისინი მომ-
კურნობითა ნიეთ მოყვარებისათა, მოაკლებენ მათ ყოველსა-
ნაქონებსა თვისსა და ამისთვის ერაცხ თანამდებად ჩვენდა
ქსენებასა ამას, რომელ პირველსა ამას წინა მოსელასა რო-
ლსამე დიდ შემძლებელობისასა, რომელიცა ჩაოდენსამე ქამ-
რინიშენის სამყოფად საქართველოსა შინა მუნებრთა გან-
ებულებათათვის, მისდაბი სახმარ არს, რათა მუნ განელასა
ნა ჰქანას მათდამი, ესე, იგი თვისთადმი მტკიცე განწესებუ-
ნა ამა საქმეთა თვის, და შემდგომად ამისა მცირესა შინა
ნა შესაძლო არს, რათა აგი მცირედ სარაცხნი ერნი ძველ-
ან დამონებულნი საქართველოთა მეფეთაგან ფრიად სუბუ-
მოყვანილ იქმნენ კვალადცა თანამდებობითა მორჩილებასა
მონებასა შინა და რათავე საშვალ მოზდოკისა და საქართ-
ოსსა სადაცა არს საჭირო, განწესდეს ჩაოდენიმე ფორპოს-
და დაიყენოს სამეფონი კამანდნი.

არა მცირედრე ერაცხთ თანამდებობადვე ჩვენდა ყოვლად
ერდომობითისა ამას მოხსენებისა, რომელ თეითოეულინი
სძვეთაგანნი, თაეადნი, აზნაურნი და სამღვდელონი ართმე-
გამოსალებთა განმვლეთა მათ, რომელნიც ვაჭარნი გაიე-
ნ სამფლობელოთა მათ ზედა ანუ ადგილის ფასთა მსგაე-
ბეთა და ესე სათანადო არს რათა იქმნეს დაყენებული,
რომელ ვაჭარი გარდამხედელი ერთ გზის ბაჟისა საქართ-
ოსსა შინა შემდგომად სადაცა განერცვლებულარს სამპურო-
ბე ჩვენის ყოვლად უაღუსტესისა, ხელმწიფისა სათანადო
რათა მუნ იყენენ თავისუფლად მეორედ გამოსალებთაგან
სა; კვალად მათ სრულ-ჰყოფისათვის კადნიერ ვიქმნებით

თილ-ნებებულ იქმნეს, და თქმულნი აღიოსოსა ასაკ...

სათვის ვითარცა ქართველთა ეგრეთვე მეზობელთა შათთა ვაქართაცა განერცვლებისადმი ბაჟთსა, და განმზნობისათვის შათისა, არა კეთილ-ნებულ იქმნების განწყვება ამისა, რათა დებულებათაებრ ათამანის პორტიისათა აღიღებდეს საში ასსაზღდა დაფასებისა ებრ საქონლისა; და უკეთუ რომელიმე ვაქართაგანი დაფარვისა სახითა აქმნების მომტანელ რომლისამე ნიეთისა საქართველოსა შინა, რომლისა ნიეთისა დამფარველთა. მაშინ გადახდესთ ესრეთ რომელ გამოვრთვას მას ორი წილი ნაცვლად ერთისა, რათა ამით სუბუქითა დასჯითა უმეტეს აღრე მოიქცეს ერი ახლად შემოსრული მალლისა შის იმპერატორებითისა დიდებულებისა მონებასა შინა, და თვით ესევე ჰყოს ამას შინა, რომელ-მოიქცენ მამულსავე შინა მოსახელეთადმი, და შესაძლო იქმნებისცა, რათა გამგონებლობითა თვისითა განაერცონ ვაჭრობა თვის ბასრას, ბაღდადს და უშორეს ინდიასა შინა.

5.

აწ ჩვენ სუსტითა ჩვენითა განზრახვათა კადნიერ ვიქმნებით ყოვლად უმონებრივესად წინ წარმოდგინებად ამისა, რომელ ადგილნი ანუ სამპყრობილენი საკუთარნი მეფის ძეთა, თავადთა და აზნაურთანი ყოველივე იგი შემდგომადცა მათდამი იქმნენ დაშთომილ ვითარცა ჰსჯულიერნი მათი საკუთარი, ხოლო უკეთუ რომლისამე მათგანსა ძალითა, ანუ თუ სხვათა რომელთამე უჯეროთა სახით, ადგილნი მიმძლავრებისამებრ, მაშინ იგი სამართლით სათანადო არს, რათა განრჩეულ იქმნეს და მიეცეს იგინი პატრონთა თავისთა რომელთადმიცა ეშესაბამების სწორედრე მიეცემა: და ესრედ მრავალნი ადგილნი ზღებარენი სამზღვართა ზედა მთის ერთას სპარსეთისა, თურქთა და სხვათასა, რომელიცა არიან მპყრობელობასა ქვეშე მეფის ძეთა, თავადთა და აზნაურთა, და სამღვდლოთა ერთასა გვეჩვენების ჩვენ დაცვისათვის სახელმწიფოსათა უშიშრობასა შინა.

იქმნენ და ნაცვლად მათსა მიეცესთ მათ სხვა შინაგან საქარ-
ველოსა, ანუ რუსეთსა შინა, და იგა ადგილნი დაშთეს სახე-
ლმწიფოდ სადცა კეთილ განხილულებით იქმნეს აღშენებულ
სიმაგრენი გაბრთხილებისათვის მეზობელთასა და ამითაცა განე-
რებიან მრავალნი ტყუილსა ცილის წამებასა, და შესმენასა ეი-
თამცა და მათ აქენდესთ დაფარული შეერთებულება ორგულ-
თანა, ხოლო რომელნიმე თქმულთა მათ ადგილთა მქონებელ-
თაგანი შესაძლო არს რათა დაშთეს მასვე ადგილსა თვისსა ჩი-
ნებულისა მოქმედებისა მათისა, და შესაბამად დაფიცებისათვის,
და დამორჩილებისათვის თვისისა მსჯულოეირისა ხელმწიფისადმი,
და გაეწესოსცა წელიწადობით ჯამაგირა. რათა ამით მყოფნი
მუნ ვითარცა მცოდნენი ძალისა და მდგომარეობისა თვისთა
მეზობელთასა, შემძლებელ იყვნენ რათა აჩვენონ სარგებლობა.

6.

ქერიეთა დედოფალთა, ეგრეთვე ქერიეთაცა მეფის რძალ-
თაცა, და მეფის ასულთა, რომელნიცა არ არიან გათხოვილ
და წელთა თვისთა შემგზავნებით არა-ძალ — უძსთ განქორწინე-
ბად, ყოვლად მოწყალეებით ებოძოსთ შესაბამი გვარისა თვისი-
სა უფლება რუსეთს, ანუ ქვეყანასა შინა თვისასა, და მათნი
საკუთარნი ადგილნი ჩვეულებისად იქაურთა წესთასა სოფელ-
ნი და სხვანიცა შემოსაყალნი მიღებულ იქმნეს სასარგებლოდ
უდიდებულესისა კარისადმი, ხოლო მამაკაცთა მათ მეფის-ძეთა,
ძმისწულთა, და ძმის-ძეთა მეფისა სახლისათა, ყოველთა მათ,
რომელთაცა სურთრა თვისის სიმთვლის ძალით. ანუ მოხუცე-
ბულებისა გამო დაშთებიან ქვეყანასა შინა თვისსა, ისარგებლონ
საკუთარითა თვისითა ადგილითა. ხოლო იგინი, რომელნიცა
თვინიერ იქვსა მიღებენ სურვილსა, და მოიწყვიან და შეუარ-
დებიან ფერხთა ესე ვითარისა თვისასა ყოვლად მოწყალისა ხე-
ლმყიფისათა მიღებულ იქმნენ, მსახურებასა შინა და ნაცვლად
მუნებულთა მათ ნაქონებთა თვისთა მიენიჭოსთ რაივეცა კე-
თილ-ნებებულ იქმნეს, და თქმულნი აღირაცხოს სახელმწიფოდ.

სამღვდელმთავართა თვის ვითარცა არს უპერველესე აწ საქარ-
თველოსა შინა სამღვდელმთავართა ერთა შორის ძე მეფისა ირაკ-
ლისა ანტონი, რომელსაცა აქესთ ძველისა იქაურთა განწესე-
ბისაებრ ტიტულად კათოლიკოსობა, კურთხეულ არს ხელმწი-
ფობასა შინა ნეტარ ზსენებულისა იმპერატრიცასა პატიესა ში-
ნა არხიეპისკოპოსისა ცარსკისელოს და მუნ წარგზავნილ იქმ-
ნა განრიგებისათვის მუნებურთა სამღვდელმთავართა წესთასა, ეგრე-
თვე დაშთეს იგი მასვე თანამდებობასა, სახელსა შინა—თანას-
წორადე სხვანიცა ეპარხიათა შინა თვისთა მყოფნი მიტროპო-
ლიტნი, არხიეპისკოპოსნი, და ილუმენი, პროტოპოპნი, მღვ-
დელნი და დიაკონნი, და სხვანიცა ეკკლესიისა მოსამსახურენი
თვითოულნი წოდებისა მეგრ თვისისა და ადგილთა მათთა სა-
ხელდობით, თუ ვითარნი, და რაოდენი არიან იგინი მიუცი-
ლებლად მუნ მიწეენისა ჩვენისა მეგრ, ყოვლად მონებრივთა
სახითა ჰყოფთ მოხსენებასა. და ვინაიდგან განსვენებული იგი
უკანათლებულესი მეფე, და სამეფო მისი ითხოვედნ, რათა მი-
ეღოთ სამოქალაქონი, და პოლიტიკებრნი ჰსჯულნი, ამისთვის
ჩვენცა მივიღებთ კანდიერებასა, და ამისთვისე ვითხოვეთ დიდი-
სა ჩვენისა ხელმწიფისაგან, რათა მიეცეს ბრძანება უდიდებუ-
ლესისა უწმინდესსა სინოდისა, რომელ წარმოგზავნოს ჩვენთა-
ნა, ანუ უმდგომად ჩვენსა ერთი სამღვდელმთავარი ვინმე რუსეთისა
საიმპერატოროისგან მცირეს ეამობით არხიმანდრიტი ანუ ილუ-
მენი, კაცი მდაბალი და მყუდრო, რათა აჩვენოსთ მათ განწესე-
ბულეებანი აქაურნი საკუთარნი დღესასწაულობათათვის საუკნო-
თა, და სხვათაცა სახელმწიფოთა დღესასწაულობითთა დღეთა.
ხოლო მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი, და ეპისკო-
პოსნი არა მქონებელნი ეპარხიისანი უკეთუ გამოჩნდეს ადგი-
ლი მათთვის, არამედ დაშთომილად, და უქმად, მაშინ მოხსე-
ნებისა მეგრ მუნებურთა მათ საღვდელმთავართა, და ჩვენგან კეთილ

დრიტი და ილუმენი ოდესაცა მათგან თხოვილ იქმნების, ეგრეთვე შიტროპოლიტთა, არზიგვისკოკოსთა და ევისკობოსთა, რომელნიც ეგებიან უადგილოდ ყოელად მოწყალებით ებოძოსთ მცირელი ულუთა საზრდო განსადიდებლად ყოელად უაელუსტესისა სახელისა. და ვითხოვთ რომელ ყოველნივე იგი სამღვდელოთა წესნი იყვენ შეწყნარებულ, და პატივცემულ ღირსებისა-ებრ ხარისხისა მათისა თანასწორად სხვათა ხარისხისა მეტონთა რუსეთისათა ვინათგან ქვეშევრდომილ ქმნილი იგი სამეფო თვისისა ნებითა შეერთდა საიმპერატოროსა.

8.

და მათთანავე წინა წარმოვიდგინთ ძველთა ჩვეულებათა საქართველოსათა, რომელიცა მუნ ჰგის თვით დაწყებითგან მათით ესე რომე უფროსლა თვითოეულთა მეფის ძეთა, და თავადთა ყოელად სამღვდელოთა საქართველოსათა ჰყავს აზნაურნი საკუთრად, რომელთაგანთაც მათ აქესთ მიწა მიცემული, რომელსაცა ზედა არიან გლეხნი დასახლებულნი, და მუნ ჰცხთვრებენ იგინი და არა რომელსამე შეიწროებასა მიმღებლობენ მათთა ვადათაგან; ხოლო ქიმა ბრძოლისასა წინააღდგომად მტერთა ყოველივე სრულებით თვითოეულად მასთან წარელენ ბრძოლასა შინა და ესრეთვე ქამსა ნადირობისასა, და თუ ქამსა მასპინძლობისასა მათთანავე იმყოფებიან სრულებით, და სახლთა შინა მათთა ვითარცა აზნაურნი ერთბამთ მათთანა ერთსა ზედა ტრაპეზსა განსცხრებიან და ოდეს რომელიმე მათგანი არღა ინებებს უმეტეს ყოფად უფალთა მათთანა, მაშინ ვითარცა აზნაური დაუტყვევებს მიწასა მათსა და სოფელსა და წარვალს თვისით სახლეულობით სხივისადმი, რომელიცა თვინიერ ყოელისა ნაკლულფევანებისა თვისადმი მიიღებს და მისცემს მასვე უპირატესობასა ვითარცა აქენდა პირველ მისა ქამადმდე, და ამისთვის ყოელად უმონებრივესად წინ წარმოადგომილ ვჰყოფთ მათ აზნაურთა, რომელიცა ყოელისავე შინა

საზოგადოდ გამოსადგენი არიან და უფროსად სამხედროსა შინა სამსახურსა, რომელსაცა შინა არიან დაჩვეულ და ესე არა კეთილ ნებებულ იქმნებისა, რათა ყოველივე იგი ჩამოერთვათ ყოველთა მათ მებატონეთა და აღირაცხენ იგინი საეროთა აზნაურთა წესთა შინა, და ნაცვლად ჩამორთმეულთა მათ მიეცესთ თანასწორივე სამკვიდრებელი, იგინი ხმარებულ იქმნენ ღეწის შინა უდიდებულესისა მსახურებისასა.

9.

ხალხო რაიეცა შეეხების თქმად მადანთითვის საქართველოსა შინა მყოფთა, რომელიცა არს ოქროისა, ვერცხლისა და სხვათა ნივთთა ესე არს რომელ წინა-წარუდგენთ ნებასა ქვეშე მისის იმპერატორების დიდებულებისასა, რათა გამოცხადებით მუშაკობისათვის მათისა ებრძანოსთ წარმოსვლა განსწავლულთა კაცთა, და მუშანი გამოცდილნი იპოვებინ სამეფოსა მას შინა საკმაო რიცხვნი, რომელიცა შესაძლო არს რათა მოიხმარებოდენ სამუდამოდ თეთრის მიცემითა.

10,

ვითარცა მეოთხესა პუნქტსა შინა მორთმეულსა ჩვენგან სახელსა ზედა მეფისა და ყოვლისა საქართველოსა სამეფოსა უმაღლესის მისის იმპერატორობის მინისტრისადმი ნოტი იყო ესე რომელ ვითხოვეთ ჩვენ სამყოფად საქართველოსა შინა ექვი ათასი კაცი მაღალ დიდებულის რუსეთის იმპერატორის მხედრობა, ესრეთვე აწცა კადნიერი ვიქმნებით ყოვლად უმონებრივესად მოხსენებად, რომელ აწინდელისა ამის მდგომარეობისამებრ პირველსა ამას შეხდომილებასა შინა რიცხვი მხედრობის საჭირო არის 1) ვითარცა საზოგადოსა განსვენებისათვის

1) იგივე თუ უმეტესი მიუწერია, მიუწერია თვით გასკევან ჭავჭავაძეს, რათა დაუშვიონ რუსთა მფარველობითი კავშირი.

ფერეთვე დამყუდროებისათვის აღშფოთებულებათა ჩვენთა მეზობელთასა, ხოლო შემდგომად ოდესცა განწესებულ იქმნების მუნ შესაბამი მყუდროება, და ყოველივე მოიყვანების შესაბამისა მობასა შინა, მაშინ თუ რაოდენიცა რიცხვი მხედრობათა ჯერარს, ამას მივანდობთ სრულებით განხილულობასა მისის იმპერატორების დიდებულებისასა, რომელიცა შესაძლო იქმნებისცა, რათა სახელდებით საიმპერატოროსა აქტსა შინა დაინიშნოს, და უკეთუ კეთილ-ნებებულ იქმნების, რათა ზემოხსენებულიისა ამისა მდგომარეობისათვის აწ მყოფსა მას საქართველოსა შინა მხედრობასა მოემატოს, მაშინ ყოველად ქვეშევრდომობით ვითხოვთ, რათა უკუნქცევისათვის სიძვირესათა მოსყიდვასა შინა პრავიან ტრასასა, ებრძანოს მუნ მყოფსა რუსეთისა მხედართ მთავარსა განმზადება მათი კეთილ ქამიერად მუნ მყოფისა ბაზრისა ფასისაებრ.

11.

რაოდენიცა შეეხების დაწყებასა განსწავლულისა მხედრობისასა საქართველოს ერთასა, რომელიცა შეკრებად შესაძლო არს ესე, არს რომელ ჩვენ მოხსენებად არა რა ძალგვიძს, და ოდესცა წარიგწვენების უდიდებულესისა მისის იმპერატორების უმაღლესის კარისაგან რომელიმე გვამი საქართველოსა შინა, და იგი ჰყოფს მუნებუროსა ერისა სამხედროსა აღწერასა, მაშინ დროსა მას წოდებული მეფედ ითხოვს, რაოდენცა სახმარ არს მოხმარებასა შინა მსახურებისასა ერთბამად რუსეთისა ძლიერა შემოსილისა მხედრობისათა, და სადაცა იგინი თანამდებ იქმნებიან წარსვლად, და მსახურებად მისის იმპერატორების დიდებულებისა, თვისისა ყოველად მოწყალისა, და შთამამაელობით ხელმწიფისადმი უმწვერვალესათა ძალითა მსახურებისა თვისისათა, ეგრეთვე განწესებულისა ჯარისაცა შესაძლო არს ოდესმე აღმსუბუქებისათვის რუსეთის საიმპერატოროსა მხედრობასა

მოხმარება მარტოდ, განხილულ იქმნების საკმაოდ აღსრულებ-
 ზისათვის საქმისა და ეგრეთვე სამძღვართა არა ძვირად შეხედუ-
 ზის ოაფ-დასხმა და ოხრება მტერთაგან სხვა და სხვათა; და ამის
 დაყენებისათვის არა კეთილ ნებებულ იქმნებისა, რათა მუნსუფ-
 როსად მყოფად დანიშნულსა ებრძანოს, რომელ ყოველთა
 შათ, რომელთაცა ძალ-უძსთ მსახურება საჭურველითა აიძუ-
 ლოსთ მათ რათა იქონიონ იგინი, და ამით საკუთრად თვის-
 თა დაცვათა თავს იყენენ შემძლებელ მარადის მზაყოფად:

აწ ჩვენ ჩვენითა სუსტითა განზრახვითა კადნიერ ვიქმნე-
 ბით ყოვლად უმონებრივესად წინ წარდგინებად ამისა, რომელ
 მყოფნი გლენნი სხვა და სხვა სამფლობელოსა წარყვანილნი
 ანუ განშენებულნი სხვა და სხვა მიზეზით სპარსეთს, ანუ თუ
 თურქს, თვისავე მამულსა მოქცეულ არა სათნო იქმნებისა, რა-
 თა საკუთრითა მალლის მონარხოზისათა მოწყალე ებრძანოსთ
 სახალხოდ გამოცხადება ამისი საქართველოსა, რომელ ყოველ-
 ნი, რომელნიცა მოიქცევიან პირველსავე თვისსა სამკვიდრე-
 ბელსა აქამდე განშორებულნი, იგინი დაშთენ თავისუფლად,
 და აღირჩიონ წადილისამებრ თავისისა საცხოვრებელი ადგილი,
 რომელსადმიცა ენებოს აღრიცხვა თავისა თვისისა სახელსა ზე-
 და სახელმწიფოსა, ანუ სხვისა უფლებისა ქვეშე და რომელი-
 ცა მსგავსიერითა სურვილითა თვისითა, სადაცა იქნების აღწე-
 რილი საცხოვრებელად იგინი მუნ სამარადისოდ დაშთებიან
 თვინაერ უცხოვს ქვეყნის კაცთა, რომელთადმიცა თავისუფლად
 მყოფობა ესე, არა შეხებით, რომელნიცა დაშთებიან პირველ-
 თა მებრ თავისუფლად, მას ჟამამდის ყოველივე აღიწერებოდ-
 ნენ, და ესე არა მიეხდებისთ ესე ვითარისა მოწყალეებისათა,
 რომელ არცა ერთი მათგანი არ დაშთებიან, და ყოველივე
 კვალადცა მოსურნე იქმნებიან, რათა მოიწიენენ სამკვიდრე-
 ველსა შინა თვისსა, და მისგან ექმნების სამეფოსა მას არბ
 მცირე სარგებლობა:

ესრედვე ყოვლად ქვეშე ვრდომებით წინა-დადებულ
 ყოფთ-გლენთათვის საქართველოსათა, რომელნიცა იმყოფებიანა

სამფლობელოსა შინა თვისსა მებატონეთასა, რომეთადმიცა გლახნი იგი ძველადვე მუნებურითა სჯულითა ვერ განშორდებიან ესრეთ, რათა იგინი აიყარნენ, მიზან და მივიდნენ მეორისადმი. და ეგრეთვე მებატონენი იგი ვერ მიიღებენ მათ, და ეჭონებთ ესე იქმნების შემსგავსებული წესთადმი ძალად დიდებულისა ყოელისა რუსეთისა საიმპერატოროსათა, რათა ვითარცა აწ სამეფო საქართველოსი შეერთებულ იქმნება ამის იმპერიისთანა და იმისთვისცა კადნიერ ვიქმნებით ყოელად უმდაბლესად თხოვნად ამისა, რომელ მიეცეთ ბრძანება უდიდებულესობისა, ვითარცა წალადემდრე, ეგრეთვე შემდგომადცა იგი გლახნი და ვაჭარნი, რომელნიცა იჩვენებიან მიწერილად, რომლისადმი მებატონისად ან თუ ქალაქისად მუნვე სამეფოსა შინა დასჩე და დააყენოს, რათა მუნითგან არა წარსულ იქმნას თვისისა სურვილისა-მებრ სხვისადმი და რათა არცა გადმოსახლებულად შემძლებელ იყვნენ რუსეთსა შინა, ესრეთვე მსგავსად ამისა დაყენებულ იქმნეს, რათა გლახნი რუსეთისანიცა არა ვიდოდნენ, და ესე დავშალოსთ მათ აღთქმითა საშინელი-სა, და ფიცხელისა დაჰსჯისათა.

ესრეთვე ვიდრე ამ დრომდე იყო საქართველოსა შინ ჩვეულება, რომელ მუნებურნი მებატონენი გლახთათვის ჰყიდნენ ვინ როგორ რაოდენსაცა ინებებდა, და ამისთვის არაკეთილ-ნებებულ იქმნებისა, რომ ესე ვითარი მსყიდველობა აწ დაყენებულ იქმნეს და ებრძანოსთ, რათა განყიდონ არა სხვა გვარ, არამედ ერთბამად სახლეულობით, და უძრავით მამულით თვისითა, უკეთუ აქვსთ მათ; და ეგრეთვე არა მიჰყიდოს თუ და დიდის რუსეთის მებატონეთს და ქართველთა და ეგრეთვე ტყვენი, რომელთაცა თურქთა, სპარსთა და სხვათაგან ერთა საქურველითა სახელმწიფოსათა ბრძოლასა შინა გამოხსნილ იქმნებიან, მათლამი მოიქცნენ ესრეთ, ვითარცა ეს გვარსა შემთხვევასა შინა იტყვიან რუსეთისა ტყვეთადმი, და რომელნიც ესე გვართაგან გამოხსნილ იქმნების ვისგანმე, და პირველი იგი მებატონე მისი ინებებს შინა თვისადმი კვალად

მიღებსა, მაშინ იგი თანამღებ იქმნების, რათა უკუნ ზღოს და-
ხარჯული იგი თეთრი გამოხსნასა ზედა, და ამის წინააღმდ-
გომსა შემთხვევასა შინა სათანადო არს რათა დაშთეს უფლვ-
ბასა ქვეშე მისსა: რომელმანცა გამოიხსნა, და ექმნეს ნება მის-
ყილად ამისა სხვათადმი შინაგან სამყოფსა შინა, და არა მეზო-
ბელთა უცხო ქვეყნისა კაცთადმი-

13.

ვითარცა მეფის ძეთა და ძისძეთა მეფის ფამილიისათა,
რომელიცა მდგომარეობასა შინა თვისსა პირველისა მეზრ დაშ-
თებიან ეგრეთვე თავადადნი და აზნაურნი, ექმნესთ სარგებლო-
ბა ყოვლითა ამით ჰატიფითა და ჩინებულებითა, რომელითაცა
სარგებლობენ აზნაურნი რუსეთისა იმპერიისანი, და მიიღონ
ეგვერივე სახელსა ზედა თვისსა ღრამატა და ღირსებისათვის
დიპლომი, და იმპერატორისა მსახურებისა შინა მიღებულსა ჩი-
ნისათვის პატენტი, ეგრეთვე სამღვდელთა წესთა მექონთა ეპა-
რჩისა და მონსტერთა აქენდეს იგვევ პატიფი, ვითარცა სარ-
გებლობენ რუსეთისა სამღვდელთანი ერნი.

14.

ვაჭართა მეღუქნეთა და ხელოსანთა ერთა აქენდეს იგივე
სარგებლობა კომერციასა შინა, ესე იგი სრულსა ვაჭრობასა
შინა, და შემატება მოძრავითა და უძრავითა საქონლითა თვი-
სითა, თვით რაიცაღ აქესთ სარგებლობა მისი სხვათა ამათ იმ-
პერიათა შინა მყოფთა; ხოლო ძველთაგან მოყვანილნი შეიწ-
როებისაგან მტერთა მათ მეზობელთასა სილარიბესა შინა, რო-
მელთაცა არა მცირედი მიუღიეს შეიწროება მათგან მათ პირ-
ველსა უზღომილებასა შორის აემსუბუქოს რომელსამე განწე-
სებულებასა პირის პირ ზემოხსენებულისა მის რუსეთის მემ-
კვიდრეთა.

ყოველივე სახელმწიფოთნო სათხოვარნი აწინდელნი ან თუ შემდგომნი, და ეგრეთვე სხვათა მებატონეთა გლებთა გამოსაღებნი სხვა და სხვანი სახელმწიფოდ თვინიერ რომელისამე საჭიროსა სახმარისა მხედრობათასა წარუდგენთ დიდსა მონარხობასა განხილულობსა, და ყოვლად მოწყალებისა მნებებელობისა, ჩვენისა ხელმწიფოს იმპერატორებისასა, რათა მიეცესთ თავისუფლება: რაოდენცა დროსა კეთილ ნებებულ იქმნების, და ქსრეთვე ებრძანოსთ მებატონთა უნებისა ებრ ყოვლისა რუსეთისა იმპერიის ჰსჯულთა ზედა განიწესების რიცხვი მათ მხედრობათა, რომელთაგანიცა შესაძლო არს, რათა განსწავლულთა აფიცართაგან, და რიადოვისაგანთა ისწავლონ სამხედრო ეგზერციცია, და დისციპლინი, გარნა ჩვენ კაღნიერ ვიქმნებით თხოვნად მისის იმპერატორების დიდებულებისაგან სახელსა ზედ ყოვლისა საქართველოსა ერთასა, რომელთაცა თვისისა ნებით შთაერდომით ჰყვეს თავი თვის მონებასა მას. რათა ყოვლად მოწყალებით თავისუფლად ეგნენ იგინი მსუბუქ გონებობისა ებრ მათის რეკრუტისა მოკრებისაგან და ეგრეთვე არა იხმარებოდენ იგინი მსახურებასა შინა ამას მხარესა აქეთ კავკასიისა მთისასა, ესე იგი შვეიცარიასა, პრუსიასა სამზღვართა ზედა, სადაცა დაუჩვეველის ერის ძლით თვინიერ დიდისა შრომასა იგინი მსახურებისა განგრობად არა შემძლებელ არიან. და იხმარებოდენ იგი მხედრობანი შეერთებით მათთანა, რომელნიცა იმყოფებოდენ საქართველოსა შინა რუსეთის პოლკთა თანა უდიდებულესისა მსახურებისა შინა მხარესა მას წინა აღდგომად ყოველთა მეზობელთა მათ მტერთა თათართა, სპარსთა და მთის ერთა და ეგრეთვე გამოზრდათათვის შინაგან სამეფოსა პიკეტთა ყარაულთა და ეგრეთვე ყოვლად უმონებრივესად კაღნიერ ვიქმნებით თხოვად ამისა, რომელ შემოსართლნი ამას ახლად მოკრებულსა მხედრობასა შინა თავადთა, და ახნაურთა ძენი ყოვლად მოწყალებით მიღებულ იქმნენ ობერ

და უნდერ ოფიცრობის ჩინით და უკეთუ რომელიმე მეფის-
ფამილისაგანი მამაკაცისა ანუ დედათაგანისა ქენი მასვე რიც-
ხესა შინა მსახურებისასა მოსურნე იქმნებთან შემოსვლად, და
უიკოიკა ჰყოფენ ამას, მაშინ იგინი ყოვლად მოწყალეებით ჰა-
ტივის-ცემისათვის გვართა მათთასა მიღებულ იქმნესი შტაბ-
აფიცრობისა ჩინითა, და მიღებისა ებრ შტაბ-ობერუნდერ ოფი-
ცარნი ქართველთაგანი, რომელნიცა მხედრობასა შინა იქმნე-
ბიან მსახურად მათ მოემატებოდეს ჩინი განწესებისა ებრ იმპერი-
ისა ამისა, ხოლო ჯარის კაცთა ყოველად მალლისა მონარხოზი-
თისა მოწყალეებისაგან დაგნიშნოს, რაოდენიმე დრო მსახურე-
ბისა, რათა მათ კეთილ-ჟამიერად იცოდნენ, რომელ მსახურონ
რა 10 ანუ 15 წელსა მისის იმპერატორების დიდებულებასა
წინაბლდვამად მტერთა რუსეთისა, და ქრისტიანობისა სახელი-
სათა. ესე იგი პირის-პირ სპართა, თურქთა, ლეკთა და სხვა-
თა ესე ვითართა, შემდგომ შემძლებელ იქმნებიან, რათა მო-
იქცნენ სახლად თვისად, და წინაშე ერთ ქვეყნიერთა ერთა
თვისთა თანა განადიდონ ქება მისის უმაღლესის დიდებულე-
ბის მსახურებითა, ერთგულებითა, და აღაფსებს მათ მონებ-
რებისა ქვეშევრდომობით, ტახტისადმი ყოვლისა რუსეთისა, და
ამით არა თუ მხოლოდ შემძლებელ იქმნებიან ეამისაებრ რა-
თა განამრავლონ რიცხვი კაცთა სამხედროთა, არამედ ესე და-
ადგინებს მათ მხიარულებით წარსულად უკეთუ ებრძანების
თვით ვიდრე სამზღვარამდე ინდიისა. ხოლო უკეთუ მდგომა-
რეობა საქმისა მოითხოვს, რომელ შემდგომად მოკრებისა სა-
ქართველთასა რეგულიისა ჯარისა, ანუ კვალადე თუ შემდგო-
მად დამპყრობისა კვალადცა შამოკრებისა რაოდენთამე ქარ-
თველთა განუსწავლოთა ჯართასა, მაშინ შესაძლო არს რათა
მუნ მყოფმან მეფემან აუწყოს ესე ხელმწიფისა მოადგილესა და
სამღვდელთათა, რათა ემსგავსონ ამას შინა დიდისა მონარხისა
სიმდაბლით მოქცევასა, და სამზღვარ უდონ მოკრებასა მას
თვისთაგან გამოსაღებთასა, და მუშაკობასა მსახურებისა მათი-
სასა, რათა ამით მოწყალეებით მოყვანებულ იქმნენ იგინი

სრულს გლახაკობის მდგომარეობასა შინა.

16.

ყოველთა სასამართლოთა პირველთა და უკანასკნელთა
ადგილთა შინა განმგეთა და მოხელეთა ქართველთა, და რუს-
თა ღირსებისა და თანამდებობისა მათისა ებრ განწესოსთ შე-
საბამი ულუფა მუნ მოკრეფილისა სახელმწიფოსა შემოსავლი-
საგან, ხოლო ესრეთვე უმცირესთა მოხელეთაჲცა მიეცეს ულუ-
ფა მისევე შემოსავლისაგან განწესებულისა სამეფოსა მისგან და
განსრულთა სახელოსა მისგან, და ნებით თვისით მუნ დაშთო-
ბილთა.

17.

ეთარცა მრავალ გეარნი კნიაზნი, და აზნაურთაგანი სა-
ქართველოსათა იმყოფებოდენ აქამდე მსახურებასა შინა კართა
ზედა მეთისათა და სხვათაჲცა ადგილსა შინა სამეფოთასა, და
აქენდათ სხვა და სხვანი ადგილნი სამოხელონი, რომელითაჲცა
სარგებლობენ თანამდებობითა პატივითა, და მსახურებდენ მე-
ფესა და ქვეყანასა თვისსა გულსმოდგინებით და გრთულობით,
ამისთვის უკეთუ მათგანთა რომელთა აწ მოხუცებისა გამო-
წელთასა და ანუ სხვათარე მიზგზითა კვალადცა მსახურებასა ში-
ნა არა ინებონ შესვლა, არა კეთილნებებულ იქმნებისა, რათა
პატიე ეცესთ პირველთა მათთა მსახურებათა, და მოხუცებუ-
ლებასა, და რათა დაშთენ პირველსავე მას პატიესა შინა, და
მიეცე თ მათ პატიე თანაღ-სწორად მათ თაეადთა, და აზნაურ-
თადმი, რომელნიცა დიდებულებისა მისის იმპერატორების მსა-
ხურებასა შინა იმყოფებიან.

18.

მოყვანებისათვის მყოფთა მუნ უშიშოებინა მდგომარეო-

ბასა შინა, პირველ საქმედ ერაცხეთ ამას, რათა მივიღოთ სხ-
მარი გაბრთხილება მეზობლობთა მათ ჭარელთაგან, რომელნიცა
შთამამაელობით თვისით არიან ძველნი კახეთისაგანნი და ად-
გილი იგი, რომელთაცა ზედა დაშენებულ არს აწცა კახეთისა,
გარნა მათ შეურაცხ-ჰყევს ჰსჯული ქრისტიანობისა, და ემორ-
ჩილებიან მანმადის ჰსჯულა, და საშეალ მათსა არს დასახლე-
ბულნი ლეყნიცა; ესე ერთი არცალა მცირედ არიან საშიში და
არც რიცხვითა არიან უმეტეს სამი ათასიდგან ვიდრე ოთხი
ათასამდე; გარნა ვნება მათგან არს ესე პირველის-მებრ, რომ-
შელ კახეთსა ზედა არიან დიდად მახლობელ და ცხოვრებენ
პირის-პირ თვით კახეთისა სამფლობელოსა ქალაქისა ქისიყისა,
დი საშეალ მათსა არს მდინარე ალაზანი, რომელსაცა შინა
გამოდინან ცხენიანნი და ქვევითნი, მარადის მდგომარეობენ ერ-
თი მეორისაგან ქვევითისაგან ერთის დღის სავალსა და ადგილ-
სა მას შინა თვინიერ მოხსენებულისა მის წყლისა არა რომე-
ლიმე მთა და ბოცივი არ იპოვების ესრეთ, რომელ თვით მძი-
შითა ურმითა მსუბუქად შეიძლებიან სელა, ესე ჭარელნი არი-
ან ესრეთნი, რა იყოს საშინელ საქართველოსათვის, არამედ
წარმოდგომილ არიან შესაყედრებელად, და სადგურად ყოველ-
თა ლეკთა აეაზაკთა და თვით ომარხან ჰაეარისისაცა ესრეთ
რომელ ოდესცა იგინი განიზრახანენ მორხევასა საქართველოსა
მიწათასა, მაშინ მოიწვევიან ჭარელთადმი და შიილებენ თვისა-
დმი მოსყიდვით მათგან საგძალთა; და ყოველოვე სახმართთა
ნიეთთა, და თვით მათცა თვისთან შეიერთებენ, და ამით გა-
ნიმრავლობენ ჯართა თვისთა, და წარიყვანენ მათგან გზის-
მცოდნეთა, და ყველა უგზდთა, რომელთაცა მახლობლად მოსა-
ხელოვებითა უწყიან, სადა ანუ თუ რომელსაცა ადგილსა
სცხოვრებენ ქართველნი გაუფრთხილებელად, და მოულოდლე-
ბელად თაე-დასხმისა მის მტერთასა, და ესე არა უცნაურ არს,
რომელ უკანასკნელი იგი შემოსელა ომარხანისა საქართველო-
სა შინა იყო იმათზე გამოვლით, და მხედრობაცა მათი იყო
მასთან. ესე თვით მცირე სამყოფი ჭარელთა მოქმედებს უმე-

ტეს იმასცა, რომელ შემწყნარებლობას ორგულთა ქართველთა სამართლით სასიკედირო დასასჯელთა და სხეთაცა, და ვგრეთვე ყოველნი იგი ლეკნი, რომელნიცა წარმოვლენ საქართველოსა შინა მორბევისა, და აოხრებისათვისა ოსმალოს მხარედგან, მაშინ იგინი პირველ მოიწევიან ქარელთადმი, და მუნითგან სწორედ მივლენ ახალციხეს.

19.

ხსნისათვის ამის სუსტისა და უპატიოსა ერისაგან ვითხოვთ ყოველად მოწყალისაგან რათა მოგვეცეს ნება ჩვენ, რომელ წარვიდეთ სამკვიდროსა შინა მათთა და აყაროთ იგინი, და დაეპყროთ სხეთა და-სხეთა შინა ადგილთა საქარველოსა მოსახელეთა შორის. დარწმუნებულ-ვპყოთ, რომელ შეერთებით ერთად უძლეველთა იმისის იმპერატორების მხედრობათა თანა, ამას აღვასრულებთ მსუბუქად დროსა ზამთრისასა, და ადგილთა მათთა დავასახლებთ ქრისტიანებთა ნებით თვისით მოხუნეთა, რომელთაგანიცა თვინიერ იქვისა მოძოვების მრავალნი მოსურნენნი, ამის მიზეზისათვის, რომელ ადგილი იგი არს ნაყოფიერ, სადაცაო მოდის ჰური მრავალ გვარი და უმჯობესი სხეთაგან, და ბრინჯი, და ესრეთვე ხილი, და აბრეშუმის ხე, რომელისაგანაც ხელოსანი საქაონი რიცხვით აკათებენ აბრეშუმსა, და ესეცა შესაძლო არს, რათა თვით, მათ ქარელთა აღვირ-ესხათ და დაწყნარებულ იქმნენ, გარნა ეინადგან დიდი ხნიდგან შთაცვიდენ მახმადის ჰსჯულსა შინა, ამისთვის, ვრაცხთ უმჯობეს ვითარცა ზემო ესთქვით, რათა განიყვნენ სხეა და სხეთა შინა ადგილთა, რომელ ენგბა რაიმე მათგან ყოფად შესაძლო იყოს, არა არს იქვი ამას შინა რომელ, ოდესცა მიიწევის მთადმი ზამთარისა დროსა შინა რუსეთისა, და საქართველოსა მხედრობა, რაოდენიც წარივლინების კეთილ განჯისამებრ, მაშინ იგი ყოველივე და თვით უპირატესნიცა მათნი არა დაუტევებენ ამას, რომელ ორა ჰყონ აღთქმა

ფიცის, ამისთვის, რომელ იქმნენ იგინი მონად ქართველთა, უკეთუ მხოლოდ მიეცესთ მათ ნება, რათა დაშთენ იგინი აღგილთა შინა თვისთა, გარნა ესე პირობა რომელიცა არა ერთგზის მათგან ქმნილ-არს, არამედ დიახ მცირედ აღუსრულებიათ, და უფროსდა ყოველთა თვის გარდახდომილან რჩევისამებრ შემოთქმულთა მგზობელთასა, თურქთასა, და ამისთვის ვითარცა არა მოსანდობელთა არს საჭირო რათა გამოყვანილ იქმნენ და დაესახლენ სხვა და სხვა შინა ადგილსა; ხოლო რომელნიმე უმეტესნი მათ ერთა კეთილ-ნებებულ იქმნენ წარმოგზავნად უშალღესისა კარისადმი. ესრეთ რომელ გამოვლონ მათ მოზდოკსა და ყიზლარსა ზედა, და განიხილონ მდებარენი იგი ადგილნი. და უკეთუ მოეწონოსთ მათ იგი ერთ თვით დასახლდენ მუნ. და ამასზედა უკეთუ თანახმა იქმნებიან იგინა, ჩვენ ვითარცა მონანი მისის იმპერატორების დიდებულებისანი ნოტსა ამას ვჰყოფთ მოხსენებასა, რომე შემძლებელ იქმნებიან ფრიად მცირესა ჟამსა, რათა ჰქმნა კეთილი. ზოდი აბრეშუმისა, ვინადგან ჩვენ რომელ ერთი ესე ამის საქმიადმი უფროსდა გამოსადეგი არი ან ვიდრედა სხვანი.

20.

ხოლო ჩვენ ვითარცა ახლად შემოსრულნი დიდისა მისის იმპერატორებითის დიდებულისა მონებას შინა, შესაძლო არს, რომელ უცნობელობით რუსეთის განწესებულებისა და ჩვეულებისათა საკუთრად ქვეშევრდომობითა ჩეინითა ესთქვათ რაიმე ნაშეტნაეი და უშესაბამო ამის ყოელად უმონებრივესად ვითხოვეთ შთამომავლობითა ჩვენის დიდისა ხელმწიფისა იმპერატორისაგან, რათა მოგვეტეოს ჩვენ მისითა სარწმუნოთა მონათა, რომელნიც შემოსრულნი აღსრულებასა შინა ყოელად მოწყალებით აღთქმულისა მმართველობისა უდიდებულებისა ჰსჯულთა ყოელით უთრთ ვრაცხთ საქმედ, რათა ვაჩვენოთ მოსწრაფება ჩვენი თვით საქმით. ხოლო პირველსა ამას შეხდომილებასა ში-

ნა არაფისგან არს შესაძლო ყოველივე განრჩევით გამოცხადებად, და უფროსდა ჩვენგან თქმად, თუ ვითარ არს სარგებლობა სახელმწიფოსა, და ესე გვარივე ყოველთათვის სახმართასა-მეფოსა საქართველოსათ აწ ქვეშე კურთხეულისა იმისის იმპერატორების დიდებულების მპყრობელობისა შეერთებული იმპერიასთან ყოვლისა რუსეთისა. ხოლო ოდეს მივიწვეით ადგილთა მათ მისის დიდებულების კარისაგა წარმოგზავნილი თურთ, მაშინ უცილებელად ნაკლუნევენებას ჩვენგან მოხსენებულთასა შევასრულებთ, დაშთომილსა მუნ ნამესნიკისა ანუ მეფისათა რუსეთისა უფროსად მყოფისადმი არა დაუტეევბთ; ყოველთა მათ ნაკლულევენებათა, ვინადგან მყოფნი ადგილთა მათ შინა უფროს სუბუქად შესაძლო არს დანიშნულ მისიცა რაივეცა იქმნების ნაკლულევენება, და სხეებრ ვითხოვთ რათა ყოველივე ესე ღირს იქმნეს მალისა მონარხოებისა მისის იმპერატორობითის დიდებულებისაგან კეთილ განხილვასა ¹⁾ 4

ესეთი იყო დაწყობილება ქვეყანისა სურვილისა-მებრ თვით მეფისა. მეფის-ძეთა და ვით და იოანე განიხილეს და დამტკიცეს წესდებანი ესენი. თავადთა ვითარცა თანამზრახველთა მეფისა (უიმათოთ არა რასა საქმესა საქვეყნოსა არა იქერდნენ მეფენი, რეცა ფეოდალთა მთავარნი) მიიღეს და დაინახეს კეთილად მთარეელობა რუსეთისა, კანონთა ზედა ამათ დაფუძნებული მხოლოდ მეფის ირაკლისა-ძენი იულონ, ვახტანგ, ანუ იგივე აღმასხან, ძირიან და ფარნაოზ, — მრისხანებდენ მათთვის ვითარცა დასალუჰავთათვის ქვეყანისა-მეფისძე ალექსანდრე აღრევე იყო ლტოლვილი სპარსეთსა და მუნით ეკადოდა, სპარსთა, მათ ღარღევესა.

პირი ესრეთისა წესდებისა წარუფლინეს იმერეთის მეფისა და მთავართა, კათოლიკოზსა ანტონის და რაგდენტამე მღვდელ-მთავართა, ამათ ესე ვერ მიიღეს სიამოვნით, თუმცა პასუხი ქა-

1) 1) ნოტანი ესენი, ელახაზარ, ფალაგანდის-შვიდს ნაწერნი აქმნან დღეს უგანათლეუჯესსა ირაკლის, მეფის მის ალექსანდრეს-ძესა.

ღალღით არ აცნობეს. გარნა მოესმათ მაშინვე სიტყვით უსაფუძვლობა საქმისა. ვიეთნიმე იტყოდენ „ქართველსი სტყუვდუბიანო; ვიეთნიმე ერთმანეტს ღალატობენო და სხენი იტყოდენ: ვითარცა წღღ-წადუბუნნი საგს ეჭიდუბანო“.

ძმათა მეფისა აცნობეს ესე ქსნისა, არაგვისა და კახეთისა მცხოვრებთა. განთესეს უოველგან ჰაზრი ესე, რომელ ღასალუპაჲად მეფისა ირაკლისა ოჯახისაო, ჰქმნეს ესეო; განსყიდეს ვითარცა გაცემულთა, ქვეყანა და მეფობაო და მოვლიანო სასყიდელსა განსყიდულისასაო,—სახარებისა სიტყვიდან იტყოდენ ესრეთ მტერნი მეფისა გიორგისა და მოხელეთა მისთა მდივანთა და დესპანთა!



ეს ტრაკტატი

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გააუქმა და 1801 წ. საქართველო რუსეთის საკუთრებით გამოაცხადა. ამით დაირღვა ფიცით მსღებლი ტრაკტატი.

I

საქართველოს სამეფო, რუსეთის მფარველობის ქვეშ დარჩებოდა იმ დრომდე, ვიდრე საქართველოს სამეფო თავის ერთ მოლოწიერდებოდა. ქართველი მეფის სიკვდილის შემდეგ, ამის მაგიერ, მეფის შვილი უნდა გამეფებულაყოს, ამას დაამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი.

ამ სახით, საქართველო რუსეთის მფარველობით უნდა დაშთენილიყოს საყოველთაოდ უვნებლათ. მაგრამ ეს არ იქმნა, ალექსანდრე პირველმა დაარღვია 1783 წ. ტრაკტატი და 1801 წ. საქართველო რუსეთის იმპერაისთან დაეფშირებული გამოაცხადა.

II

თბილისში უნდა მოჭრილიყოს ქართული ფული, ამ ფულს ერთ გვერდზედ ქართული ნაწერები უნდა ჰქონიყო და მეორე გვერდზედ რუსული. ესეც დაარღვიეს და 1833 წ. მოსპეს ქართული ფულის მოჭრაც.

III

საქართველოს ერთდამ ჯარის გაყენა თუ იქმნებოდა, მაშინ ეს ჯარი უნდა დარჩენილიყოს საქართველოში, ანუ კავკაზიაში. რუსეთმა დაარღვია ესეც და 1889 წ. ჯარს რუსეთის გუბერნიებში უწყო დაპნევა.

III

რადგანაც ქართველნი თავიანთ ნებით შეუერთდენ რუსეთს, ამიტომ საქართველოს ეკადესია უნდა ყოფილიყოს

თავისუფალი რუსებისაგან, ქართველებს ჰყვანდათ კათოლიკეზი და მომავალშიაც ესე უნდა ყოფილიყოს. რუსეთმა დაარღვია ესეც 1812 წ. ლოთმა მთავრ მართებ. ტორმასოვმა საქართველოს კათოლიკეზი რუსეთში გადაასახლა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც მოშალა.


სხვა დარღვეულ მუხლებს ჩვენ არ ვახსენებთ, მითხველ-
წაიკითხოს თვით ტრაკტატი და იქედამ სენას ყოველივე დაწერილებით.



99

10

2175/6



სოციალიზმის, მუშათა დაჯდ.

